საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 18 ოქტომბრის

დადგენილება №2618

ზოგიერთი ფაკულტეტისათვის აკადემიურ და
წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში)
წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის
თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 და მე-10 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. სტუ-ის აკადემიურ საბჭოში განისაზღვროს ვაკანტური ადგილები ახლადშექმნილი ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად:
   ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 2 ადგილი;
   ბ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი;
   გ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი.
2. სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში განისაზღვროს ვაკანტური ადგილები ახლადშექმნილი ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   ბ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   გ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის.
3. სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში განისაზღვროს ვაკანტური ადგილები იმ ფაკულტეტების მიხედვით, რომელთაც არ ჰყავთ წარმომადგენელი ამ დროისათვის:

ა) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ბ) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

გ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

4. წარედგინოს რექტორს წინადადება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატის) დამატებულ ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების გამოცხადების თაობაზე.
5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე